



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 35

2014 წლის 25 სექტემბერი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის
მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებთან მიმართებაში
უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსის“ 24-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებს გადაუდებელ შემთხვევაში დართოს ნებართვა გამარტივებული წესით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს იურიდიული პირების დირექტორების დანიშვნა და განთავისუფლება, განსაზღვროს იურიდიული პირების ხელმძღვანელების სახელფასო სარგოები არაუმეტეს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ხელფასის ოდენობისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი